

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

2022 წლის -- ოქტომბერი ქ. ბათუმი

გაეროს ბავშვთა ფონდისგან გრანტის მიღებაზე საქართველოს მთავრობისთვის შუამდგომლობის წარდგენასა და საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გა და წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა გაეროს ბავშვთა ფონდისგან (UNICEF) 868 560 ლარის სახით გრანტის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობისთვის შუამდგომლობის წარდგენასა და შესაბამისი საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებაზე.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„გაეროს ბავშვთა ფონდისგან გრანტის მიღებაზე საქართველოს მთავრობისთვის შუამდგომლობის წარდგენასა და საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ბათუმის მერია და გაეროს ბავშვთა ფონდი UNICEF-ი მჭიდროდ თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის მიერ ბავშვთა უფლებების დაცვასა და ბავშვის უფლებათა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით.

მითითებული თანამშრომლობის ფარგლებში UNICEF-მა მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს N10/1422293246-14 წერილით მომართა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და შესთავაზა ბათუმის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ადგილობრივი მოწყვლადი და უკრაინელი ბავშვების დასახმარებლად მხარდაჭერა გრანტის სახით, კერძოდ, 3696 ბავშვისთვის ჯამში 868 560,0 ლარის გადაცემა, თითოეულ ბავშვზე 235,0 ლარის ოდენობით. ამ დახმარების გაცემას UNICEF-ი გეგმავს მიმდინარე წლის ბოლომდე, ვინაიდან მისი მიზანია ზამთრის მოახლოვებასთან დაკავშირებული სირთულეების, როგორცაა სეზონზე ოჯახების გაზრდილი საჭიროებების დაკმაყოფილება.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის ძირითადი არსია ბათუმის მერისთვის გრანტის მისაღებად საქართველოს მთავრობისთვის შუამდგომლობის წარდგენა და გაეროს ბავშვთა ფონდი UNICEF შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე საკრებულოს თანხმობის გაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

დადებით გავლენას მოახდენს მუნიციპალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, საგრანტო თანხების შემოსვლის სახით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

პროექტის მომზადებისას, კონსულტაციები იქნა გავლილი ისეთ ორგანიზაციებთან და სტრუქტურებთან, როგორებიცაა: გაეროს ბავშვთა ფონდი (unicef-ი), ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ ადმინისტრაციული ერთეულების სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება და საქართველოს მთავრობა.

ე) პროექტის ავტორი:

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამსახურის უფროსი

სოფიო მიქელაძე